





ღოვერა  
ET CETERA

ჯულიან ბარნსი  
დასასრულის განცდა

ჯულიან ბარნსი  
დასასრულის განცდებ

Julian Barnes  
THE SENSE OF AN ENDING

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ჭილაძემ

© Julian Barnes, 2011  
All rights reserved.  
Photo © Ulf Börjesson/Maskot/Corbis

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014, 2018  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-456-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

პეტს



## ერთი

მახსოვს, ოლონდ არეულად:

- შუშის ბრჭყვიალი მაჯის შიდა მხარეზე;
- სამზარეულოს ნიჟარაში სიცილ-სიცილით ჩაგდებული ცხელი ტაფა და ნიჟარიდან შიშინით ამოვარდნილი ორთქლი;
- სპერმის ლეკერტების ბზრიალ-ტრიალი სადინარში, ვიდრე ქვევით დაუყვებოდნენ საკანალიზაციო მილს;
  - რატომძაც აღმა დაძრული, ქაფიან ტალღად აზვირთებული, ათიოდე ჩირალდნის მთრთოლვარე შუქით განათებული მდინარე;
  - მეორე მდინარე, ბევრად ფართო და რუხი, რომლის დინების მიმართულებასაც ქაჯი ვერ გაარკვევდა, ისე უფორიაქებდა ზედაპირს გიუმაჟი ქარი;
  - ჩაგეტილ კარს მიღმა, აბაზანაში უკვე კარგა ხნის წინ გაცივებული წყალი.
- ჩვენში დარჩეს და, ეს ბოლო სურათი საკუთარი თვალით არც მინახავს. მაგრამ ვითომ მარტო ის გვამახსოვრდება, რასაც პირადად შევსწრებივართ?!

ყველანი დროში ვცხოვრობთ – ის გვაწრთობს და გვაყალიბებს – თუმცა არასდროს მგონებია, დროის არსი კარგად მესმის-მეთქი. არა, იმ თეორიებს არ ვგულისხმობ, როგორ დადის წრე-წრე და როგორ უბრუნდება უკან საკუთარსავე ნაკვალევს; ან როგორ შეიძლება სადმე სხვაგანაც; პარალელურ სინამდვილებშიც არსე-

ბობდეს... ჩვეულებრივ, ყოველდღიურ დროზე ვლაპარაკობ, რომლის მუდმივ სვლასაც კედლის თუ მაჯის საათები გვიდასტურებენ: ბომ-ბომ, წიკ-წიკ. არის ვითომ რამე, წამის ისარზე უფრო ურჩი და ჯიუტი? არადა, მხოლოდ უმცირესი სიხარული ან ტკივილი თუ გვასწავლის, რამდენად დამყოლია დრო. ზოგი განცდა აჩქარებს, სხვა, პირიქით, აუტანლად ანელებს; ხანდახან თითქოს საერთოდ იკარგება – იმ უკანასკნელ წუთამდე, როცა მართლა ქრება და აღარასოდეს გიბრუნდება. ჩემი მონაფეობის ხანა დიდად არ მაღლელვებს და არც ნოსტალგიის მსგავსს განვიცდი რამეს იმ დროის გახსენებისას. მაგრამ დაწყებით ყველაფერი სკოლაში დაიწყო და ამიტომ, გაკვრით მაინც უნდა ვახსენო რამდენიმე შემთხვევა, რომლებმაც მართლა საკვანძო მნიშვნელობა შეიძინეს და ერთი-ორი ბუნდოვანი მოგონებაც უნდა გავაცოცხლო, რასაც იმავე დრომ უტყუარობის დაღი დაამჩნია. თუკი უკვე დარწმუნებით ვეღარ ვმიჯნავ ტყუილ-მართალს, ის მაინც შემიძლია, შემორჩენილი შთაბეჭდილებების სიწრფელეზე დავდო თავი. მეტს ნურც მომთხოვთ.

სამნი ვიყავით და მეოთხედ ის შემოგვემატა, თუმცა მატებას სულაც არ ველოდით: დაახლოება-დაძმაკაცება კარგა ხნის წინ მოთავდა. უკვე იმაზე ვფიქრობდით, როგორ დაგალწევდით თავს სკოლას და ნამდვილ ცხოვრებაში შევბიჯებდით. ედრიენ ფინი ერქვა, მაღალი, ცოტა მორცხვი ბიჭი იყო; თავიდან ყველას თვალს გვარიდებდა და არც ვინმესთვის გულის გადაშლას აპირებდა. პირველი ერთი-ორი დღე ჩვენც თითქმის არ ვიმჩნევდით; საერთოდაც, სკოლაში ახალმოსულთა გულმხურვალედ მიღების ცერემონია წესად არ გვქონია, მით უმეტეს – არც მყაცრი, სადამსჯელო გაცნობა-გამოცდა. უბრალოდ, მის გამოჩენას მშვიდად შევეგუეთ და სხვა დანარჩენი უკვე დროს მივანდეთ.

აი, მასწავლებლები უფრო შეფუცხუნებულები ჩანდნენ. ერთი სული ჰქონდათ დაედგინათ, რა ჭკუა-გონების პატრონი იყო, რამდენად წესიერი და მონესრიგებული. თავიდანვე მოინდომეს

გაერკვიათ, ადრე, სხვა სკოლაში რა ესწავლებინათ მისთვის, თან რამდენად საფუძვლიანად – უკვე ჩვენთანაც რომ მოეხერხებინა მასალის სათანადოდ ათვისება... მოკლედ, საშემოდგომო სემესტრი სულ სამი დღის დაწყებული იყო და ისტორიის გაკვეთილზე ვის-ხედით. ისტორიას თავის შარვალ-კოსტუმ-ჟილეტში საგულდაგულოდ გამოწევილი, უჯიგრესი ჯო ჰანტი გვასწავლიდა, ვისთვისაც კლასში წესრიგის დამყარება საკმარისი, ოღონდ არა წრეგადასული მოწყენილობის შენარჩუნებას გულისხმობდა.

„გახსოვთ ალბათ, არდადეგების დაწყებამდე გთხოვთ, წინ-დაწინვე წაგეკითხათ რაღაც-რაღაცები ჰენრი მერვის მეფობასთან დაკავშირებით“. კოლინმა, ალექსმა და მე სწრაფად გადავხედეთ ერთმანეთს – იმის იმედით, ეგებ ალალბედზე ნასროლი ეს შეკითვა მაინცდამაინც რომელიმე ჩვენგანს არ გამოედოს მეთევზის ანკესი-ვითო. „აბა, ვინ შემოგვთავაზებს იმ ეპოქის დახასიათებას?“ ისეთი მონდომებით ვარიდებდით მზერას, ეტყობა, ჩვენვე ვუკარნახეთ სათანადო არჩევანი: „კეთილი, იქნებ თქვენ, მარშალ? როგორ აღ-ნერდით ჰენრი მერვის მეფობის ხანას?“

შვების განცდაში ბევრად გადააჭარბა ცნობისმოყვარებას – მარშალი მართლაც იშვიათად უმეცარი ვინმე გახლდათ, ჭეშმარი-ტი უვიცისათვის დამახასიათებელი გამომგონებლობის მცირეოდენ უნარსაც კი სრულად მოკლებული. შეკითხვაში, ცხადია, ჯერ ფა-რულ მახებს დაუწყო ძებნა, მაგრამ რომ ვერ მიაგნო, ბოლო-ბო-ლო, ამოღერლა:

„შფოთვა იყო ქვეყანაში, სერ“.

კლასში ვითომ შეკავებული, ერთობ ბრიყვული ხითხითი ატ-ყდა. ის კი არა, ლამის თვითონ ჰანტსაც ჩაეღიმა:

„იქნებ ჰატივი დაგვდოთ და ცოტა უფრო ნათლად განგვიმარ-ტოთ“.

მარშალმა მძიმე-მძიმედ დაიქნია თავი, შედარებით მეტხანსაც იფიქრა და ეტყობა, დაასკენა, ახლა ზედმეტი სიფრთხილის დრო აღარააო: „მე ვიტყოდი, დიდი შფოთვა-მეთქი, სერ“.

„თქვენ რას გვეტყოთ, ფინ? ეს ხანა ნასწავლი გაქვთ?“

ახალგადმოსული ბიჭი წინა რიგში, ჩემგან მარცხნივ იჯდა. მარშალის სისულელებზე აშკარად არაფერი გამოუხატავს.

„სამწუხაროდ, არა, სერ. მაგრამ არსებობს ზოგადი ხედვა, რის მიხედვითაც ნებისმიერ ისტორიულ მოვლენაზე – მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბზე – დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, უთუოდ რაღაც მოხდაო“.

„ნუთუ?! ამგვარმა ხედვამ ეგებ უმუშევარიც დამტოვოს, ჰა?“ ხანმოკლე ქირქილის შემდეგ ჩვენმა ჯოგარმა ჯო ჰანტმა დიდსულოვნად გვაპატია არდადეგების დროს გამოვლენილი სიზარმაცი და თავადვე შეუდგა ჩვენი ყურების გამოჭედვას მრავალცოლიანი, ყასაბი მონარქის ამბებით.

შესვენებაზე ფინი მოვძებნე ეზოში. გავეცანი – ტონი უებსტერი ვარ-მეთქი. ეჭვით შემათვალიერა. „ჰანტთან მაგრად მოარტყო“, – ვუთხარი ალალად. მგონი, ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი: „აი, რაღაც ხდებაო, რომ აჯახე...“

„ჰოო. ცოტა გატეხა, თემა არ აიტაცა“.

გამიკვირდა, მისგან ამის გაგონებას არ მოველოდი.

ერთიც გამსხვნდა: ჩვენ სამნი, განუყრელი მეგობრობის ნიშნად, საათებს შებრუნებულად, ციფერბლატით მაჯის შიდა მხარეს ვატარებდით. ცხადია, რაღაცას ვმატრაპაზობდით. მაგრამ ალბათ მარტო ესეც არ იყო საქმე. ასე თითქოს დროც პირადულ განცდას იძნდა, ეგ კი არა – მხოლოდ ჩვენთვის გასაგებ იდუმალებასაც. გვეგონა, ამ ჩვენს უცნაურობას ედრიენიც მიაქცევდა ყურადღებას, მოგვიანებით კიდეც, არადა, მსგავსიც არაფერი მომზდარა.

იმავე დღეს, მოგვიანებით – თუმცა შეიძლება სულ სხვა დღე მაგონდება ახლა – ზედიზედ გვქონდა ორი ინგლისური ფილ დიქ-სონთან, ახალგაზრდა მასწავლებელთან, ვისაც სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა კემბრიჯი. ძირითადად თანამედროვე ტექსტებზე გვამუშავებდა და დავალებებსაც მოულოდნელად უჩვეულოს გვაძლევდა: „ელიოტი ამბობს, ყველაფერი მხოლოდ დაბადებას, შეულ-

ლებას და სიკვდილს უტრიალებსო. თქვენ რა მოსაზრებებს გამოთქვამდით?“ ერთხელ შექსპირის ერთ-ერთი პერსონაჟი კერკ დაგლასს შეადარა „სპარტაკში“ და ისიც მახსოვს, ტედ ჰიუზის პოეზის განხილვისას როგორ გადააგდო თავი გვერდზე მართლა გამოჯევილი ვინმე პროფესორივით და ჩაილაპარაკა: „ცხადია, მისი ყველა მკითხველი იმის გამოცნობას ვცდილობთ, მერე რაღას იზამს, როცა ლექსებში ცხოველები გამოელევა“. ხანდახან ბატონებომ – ასეც მოგვმართავდა ხოლმე. ბუნებრივია, ყველანი ვალმერთებდით.

იმ გაკვეთილზე კი ერთი უსათაურო, უთარილო ლექსი გააძრო, არც ავტორის ვინაობის გამხელით შეუწუხებია თავი, წასაკითხად ათი წუთი მოგვცა და მერე აზრის გამოთქმა გვთხოვა.

„თქვენგან ხომ არ დავიწყოთ, ფინ? მარტივად თქვით, რაზეა ეს ლექსი?“

მერხს ჩაჩერებულმა ედრიენმა თავი ასწია: „ეროსსა და თანატოსზე, სერ“.

„ოპო! მერე?“

„სექსსა და სიკვდილზე, – ისე გააგრძელა ფინმა, თითქოს კლასში არა მარტო ბოლო მერხებთან მსხდომ ბნელებს არ ემოდათ ბერძნული, – ან, თუ გნებავთ, სიყვარულსა და სიკვდილზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სიკვდილის არსთან შეჯახებულ ეროტიკულ არსზე და ამგვარი შეჯახებიდან გამომდინარე შედეგებზე, სერ“.

ეტყობა, ისეთი გაოცება დამეხატა სახეზე, დიქსონს ზედმეტად მონადინებული მოვეჩვენე:

„უებსტერ, აბა, ახლა თქვენ უფრო სიღრმისეულად გაგვაცნობიერეთ!“

„მე მეგონა, ეს ლექსი უბრალოდ საბძელში დაბინავებულ ბუს ეძღვნებოდა, სერ“.

ერთი ესეც განგვასხვავებდა ჩვენ სამსა და ჩვენს ახალ მეგობარს: ჩვენ მეტნილად ვმასხრობდით და მხოლოდ შიგადაშიგ ვიყავით სერიოზულები, ის კი მეტნილად სერიოზული იყო და მხოლოდ შიგადაშიგ მასხრობდა. ისე, დრო კი დაგვჭირდა ამის მისახვედრად.

\*\*\*

ედრიენისთვის სიძნელედ არ ქცეულა ჩვენი ჯგუფის წევრობა, თუმცა არც ის შესტყობია როდისმე, საერთოდ თუ ესწრაფოდა ამას. ალბათ არც ესწრაფოდა. არც საკუთარი შეხედულებები გადაუსინჯავს ჩვენი გულების მოსაგებად ან ჩვენთვის ფეხის ასაწყობად. დილის ლოცვისას ყველას გვესმოდა, რა მონდომებით აყოლებდა ხმას გალობას, მაშინ, როცა მე და ალექსი მხოლოდ პირს ვაფრინდით, კოლინი კი გაუთავებლად მაიმუნობდა და ჭეშმარიტი მართლმორწმუნის თავგამოდებით გაბლაოდა რაღაცას. ჩვენ სამიერს მიგვაჩნდა, რომ სკოლაში სპორტული მეცადინეობები ფაშისტების ვერაგული გეგმის ნაწილი გახლდათ ჩვენი სქესობრივი ლტოლვის დასათრგუნად. აი, ედრიენი კი მაშინვე მძლეოსნობის კლუბში გაწევრიანდა და სიმაღლეში ხტომის ვარჯიშებსაც არ აცდენდა. ჩვენ არც ერთს არ გვქონდა თუნდაც მისხალი მუსიკალური სმენა, ამით ვამაყობდით კიდეც, ის კი ერთ მშვენიერ დღეს სკოლაში კლარინეტით გამოგვეცხადა. როცა კოლინი ოჯახის ინსტიტუტს აცამტვერებდა, მე პოლიტიკურ სისტემას დავცინოდი, ალექსი კი ფილოსოფიური გადასახედიდან არსებული სინამდვილის შეცნობის ალბათობას უარყოფდა, ამ ყველაფერზე საკუთარ აზრს ედრიენი სათავისოდ ინახავდა – ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად მაინც. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებოდა კაცს, თითქოს მართლა სჯეროდა რაღაცის ამქვეყნად. არა, მთლად ურწმუნობი არც ჩვენ ვყოფილვართ – უბრალოდ გვინდოდა, რამე მხოლოდ ჩვენი და საჩვენო გვერწმუნა და არა ის, რაც ვიღაცის გადაწყვეტილებით მოეხვიათ თავზე სავალდებულო მრწამსად. ეტყობა, ასე ვკვებავდით იმას, რასაც გადამრჩენელი სკეპტიციზმი დავარქვით სახელად.

სკოლა ლონდონის ცენტრში მდებარეობდა და იქითკენ ჩვენ-ჩვენი უბნებიდან მივემართებოდით ყოველდღე, კონტროლის ერთი სისტემიდან მეორეში გადავდიოდით. იმ დროს ცხოვრება უფრო მარტივი და გასაგები ჩანდა: ნაკლები ფული, არანაირი ელექტრონული მოწყობილობები, მოდის ნაკლები მბრძანებლობა, მეგობარი გოგონების არარსებობა... ვერაფერი გადაგვაცდენდა ჩვენი ადამიანური და შვილური მოვალეობების გზიდან, რაც ბევრსაც

არაფერს გულისხმობდა – ბეჯით სწავლას, გამოცდების ჩაპარებას, ატესტატის შესაბამისი სამსახურის შოვნას და მერე იმაზე უხიფათო და თან სავსე ცხოვრების შეკონინებას, ვიდრე ჩვენს მშობლებს გამოევლოთ. ისინიც სწორედ ამისკენ მოგვინდებდნენ, თუმცა გულის სილრმეში მაინც საკუთარ ადრინდელ ცხოვრებას ადარებდნენ შვილების ყოფას და იმ დასკვნამდეც მიდიოდნენ, ჩვენს დროს ყველაფერი სხვანაირად, უფრო იოლად და, შესაბამისად, უკეთესადაც იყოო. ცხადია, ხმამაღლა მსგავსიც არაფერი არასდროს გაცხადებულა: ინგლისის საშუალო ფენის მოზომილი სოციალური დარვინიზმი მარად და ყველგან თავისთავად ნაგულისხმევი რჩებოდა.

„ამ მშობლებმაც გაახურეს, – ანუწუნდა კოლინი ერთ ორშაბათ დღეს, სადილობისას. – სანამ ჭკუაში ჩავარდები, მაგათზე მაგარი არავინ გვონია, მერე თვალი აგეხილება და ხვდები, ეგენიც ისეთები არიან, როგორიც...“

„ჰენრი მერვე, კოლ?“ – შეაშველა ედრიენმა. თანდათანობით ვეჩვეოდით იმის უცნაურ ირონიას; ისიც ბუნებრივად გვეჩვენებოდა, ამ ირონის სამიზნე თავად ჩვენვე რომ შეიძლებოდა ვყოფილიყვით. როცა შეგნებულად გვალიზიანებდა, ანდა მეტი სიდინჯვისკენ მოგვინოდებდა, მე ენტონის მექახდა, ალექსი უცებ ალეგზანდერი ხდებოდა, ხოლო ძნელად შესაკვეცი კოლინი მთლად კოლად მოკლდებოდა.

„არც არაფერი მექნებოდა სანინალმდეგო, თუკი მამაჩემს ბლომად ცოლები ეყოლებოდა.“

„და ჩეჩქივით ფული ექნებოდა...“

„და ჰოლბეინი დახატავდა“. „

„და რომის პაპს აჯახებდა, დაახვიეო“.

„ისე, მაინც რას ერჩი დედ-მამას?“ – ჰეითხა კოლინს ალექსმა.

„საკვირაო ბაზრობაზე მინდოდა წავსულიყავით, იმათ კიდე – შაბათ-კვირას ბალს უნდა მივხედოთო“.

მართლა ახურებდნენ – მშობლებზე ვამბობ. ოღონდ ედრიენი, ეტყობა, ასე არ ფიქრობდა. ამგვარ ბრალდებებს და წუწუნს მუდამ

ყურადღებით უსმენდა ხოლმე, მაგრამ სიტყვას იშვიათად თუ ჩააგდებდა. არადა, რატომლაც გვეჩვენებოდა, სხვებზე მეტი მიზეზიც კი ჰქონდა, თავადაც ასე ეფიქრა. დედამისი რამდენიმე წლის ნინ ნასულიყო შინიდან, ქმრის ანაბარა მიეტოვებინა ედრიენი და მისი უმცროსი და. ეს ბევრად ადრე მოხდა, ვიდრე ცნება „მარტოხელა მშობელი“ გაჩნდებოდა. მაშინ ამას „დანგრუულ ოჯახს“ ეძახდნენ და ედრიენიც ერთადერთი იყო ჩვენს ნაცნობებს შორის, ვინც ასეთ ოჯახში ცხოვრობდა. წესით, ესეც კმაროდა, უსაზღვრო ეგზისტენციალური მრისხანებით დამუხტულიყო მთელი სამყაროს მიმართ, არადა, როგორლაც მოახერხა და ამგვარ საცდურს გადაურჩა. ამბობდა, დედა მიყვარსო, და მამასაც პატივს სცემდა. მთელი ეს ამბავი სამმა უიმისოდ განვიხილეთ და საკუთარი თეორიაც გამოვაცხვეთ: ბედნიერი ოჯახური ცხოვრების წინაპირობა იჯახის არარსებობა; ყოველ შემთხვევაში, ერთ ჭერქეშ ბინადრობა მაინც არ უნდა გახდეს საგალდებულოო. ამ დასკვნამდე რომ მივედით, ედრიენის კიდევ უფრო მეტად შეგვშურდა.

იმხანად გვეგონა, თითქოს ძალით გვაკავებდნენ რაღაც მყარად შემისაზღვრულ სივრცეში და კანონიერად კუთვნილ ცხოვრებაში არ გვიშვებდნენ. ხოლო როცა გათავისუფლებას მოვახერხებდით, ჩვენი ცხოვრება – და თავად დროც – უთუოდ აჩქარდებოდა. საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ეს ჩვენი ცხოვრება ნებისმიერ შემთხვევაში უკვე დაწყებულიყო, უკვე მიგველნია გარკვეული უპირატესობისათვის და უკვე გარკვეული დანაკლისიც განგვეცადა? ან იმას როგორ ვიფიქრებდით მაშინ, გათავისუფლებულები უფრო დიდ შემოღობილში თუ ამოვყოფდით თავს, რომლის ფარგლებიც თავიდან თვალუნვდენელი მოგვეჩვენებოდა.

ჯერჯერობით კი წიგნს ვენაფებოდით, სექსუალურ შიმშილს ვუმკლავდებოდით, ცხოვრებაში საკადრის ადგილს დავეძებდით და ანარქიას ვესწრაფოდით. ნებისმიერი პოლიტიკური თუ სოციალური სისტემა გახრწნილად გვესახებოდა, თუმცა ჯიუტად ვამბობდით

უარს, რამე სხვა ალტერნატივა გვეღიარებინა ჰედონისტური ქაოსის გარდა. არადა, ედრიენი გვაიძულებდა გვერწმუნა, ყოფიერების ცნობიერებით შეცვლა შესაძლებელია და ქმედებებიც პრინციპებმა უნდა მართონ, რაც სულაც არაა როყიო განცხადებაო. ადრე სამეგობროში მთავარ ფილოსოფოსად უფრო ალექსი მოიაზრებოდა. ისეთები ჰქონდა წაკითხული, მე და კოლინს არც გვსმენოდა და ზოგჯერ, მაგალითად, ამნაირი სიბრძნეებით დაგვაფჩენინებდა ხოლმე პირს: თუ ბოლომდე ამოთქმა არ ძალგვიძს, შესაბამისად, დუმილი უნდა ვამჯობინოთო! მოსმენილს მე და კოლინი ცოტა ხანს მართლა მდუმარედ ვიაზრებდით, მაგრამ მალევე გვიტყდებოდა სიცილი და ისევ უწინდელ ყბედობას ვაგრძელებდით. ედრიენის გამოჩენამ კი ალექსის მდგომარეობა შეარყია, უფრო სწორად, მე და კოლინს საშუალება მოგვეცა, ამ ორ ფილოსოფოსს შორის უფრო მისაღები აგვერჩია. თუკი ალექსს რასელი და ვიტგენშტაინი წაეკითხა, ედრიენი კამიუსა და ნიცშეს წაზრევს გასცნობოდა. მე ჯორჯ ორუელი და ოლდოს ჰაქსლი მქონდა წაკითხული, კოლინს კი – ბოდლერი და დოსტოევსკი. არა, მართლა – ყველაფერზე კი არ ვშაყირობ.

ცხადია, ქედმალლობის წაკლებობას არ ვუჩიოდით – აბა, სხვა რა ყრია სიჭაბუკეში?! ლაპარაკში ბრტყელ-ბრტყელებსაც ვურევდით, თან სულ უცხოურებს. მაგალითად: *Weltanschauung*<sup>1</sup>, ანდა *Sturm und Drang*<sup>2</sup>... დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა მაღალფარდოვანი ფრაზების სროლა, ვთქვათ, ასეთის: „ფილოსოფიური გადმოსახედიდან, ეს თავისითავად ცხადია“ – და ერთმანეთს ვარწმუნებდით, წარმოსახვის უპირველესი ვალდებულებაა, დადგენილს აუმხედრდესო. ჩვენი მშობლები საგნებს და მოვლენებს სულ სხვა თვალით უცქერდნენ და შვილებიც ვიღაც-ვიღაცების მავნე ზეგავლენის მსხვერპლ უმანკო კრავებად ვესახებოდით. ასე მაგალითად, კოლინის დედისთვის მე მისი ვაჟის „ბოროტი ანგელოზი“ ვიყავი; მამა-

<sup>1</sup> მსოფლმხედველობა (გერმ.).

<sup>2</sup> ლიტერატურული მიმდინარეობა გერმანიაში მე-18 საუკუნის ბოლოს.

ჩემმა ყველაფერი ალექსა მიაწერა, როცა „კომუნისტური მანიფესტის“ კითხვისას წამომადგა თავზე; ალექსის დედ-მამამ კოლინისკენ გაიშვირა თითო, ეგ გამარაგებს რაღაც უაზრო, საძაგელი ამერიკული დეტექტივებითო, და ასე შემდეგ. იგივე შეიძლება ითქვას სექსთან დაკავშირებითაც. ჩვენს მშობლებს გული უნუხდათ, ვაითუ ერთმანეთი გახრწნან და მართლა ისეთებად იქცნენ, რისიც ყველაზე მეტად გვეშინიაო: გამოუსწორებელ მნძრევებად, თაფლად დაღვრილ მამათმავლებად ანდა სულაც უპასუხისმგებლოდ თამამ ლიბერტარიანელებადო. ჩვენზე ფიქრისას ერთნაირად ზაფრავდათ ბიჭური მეგობრობის სიახლოვეც, მეტროში ვინმე პირუტყვთან შეფეხებაც და ვინმე უვარგისი გოგოს დევნაც. მოკლედ, იმათი შიშები ბევრად სცდებოდა ჩვენი მწირი გამოცდილების ფარგლებს.

ერთ დღეს ბებერმა ჯო ჰანტმა, თითქოს ედრიენის ადრინდელი გამოწვევა ახლადა მიიღოო, გვთხოვა, მოდით, პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზებზე ვიმსჯელოთო. კერძოდ, იმის დადგენას ცდილობდა, ჩვენი აზრით, რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთელი ამ ორომტრიალის ატეხისთვის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელს. მონაფეობის ასაკში მაქსიმალისტობა ლამის საერთო სენია; არსებობს მხოლოდ „პო“ ან „არა“, უსაზღვრო განდიდება ან სრული დაგმობა, უპირობო ბრალეულობა ან სრული უდანაშაულობა... მარშალის შემთხვევაში კი – შფოთვა ან დიდი შფოთვა. თამაშითაც ის თამაში გვიზიდავდა, რომელიც მოგებით ან წაგებით მთავრდებოდა, ფრეს ვერ ვეგულებოდით. პოდა, ზოგიერთი ჩვენგანისთვის ის სერბი მკვლელი, ვისი გვარ-სახელიც კარგა ხანია მეხსიერებიდან ამომეშალა, ასი პროცენტით პირადად აგებდა პასუხს მომხდარზე: საკმარისი იყო განტოლებიდან მისი ამოგდება და ომიც არასოდეს დაინტებოდა. სხვები ასევე სრულ პასუხისმგებლობას ისტორიის მამოძრავებელ ძალებს აკისრებდნენ, გარდაუვალ შეჯახებამდე რომ მიეყვანათ დაპირისპირებული სახელმწიფოები. ახლაც კი მახსოვს: „ევროპა ასაფერებლად გამზადებულ დენთის კასრს ჰეგვდა“. იყ-

ვნენ უფრო ანარქისტულად განწყობილებიც, მაგალითად, კოლინი, ვინც ამტკიცებდა: ყველაფერი შემთხვევითობის ნებამ განსაზღვრა, სამყარო საერთოდ მუდმივი ქაოსის მდგომარეობაში არსებობს და ყველაფერს, რაც შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მერე, დროის გადასახედიდან ანიჭებს რაღაც აზრს მთხრობელის ის თანდაყოლილი ადამიანური ინსტინქტი, თავის მხრივ, უთუოდ რელიგიის გამოძახილს რომ წარმოადგენსო.

ჰანტმა ერთი დააკანტურა თავი, კარგად მესმის ეგ შენი უმნიფარი ჟინი, ყველაფერს საყრდენი მოურყიოო. ისეთი სახე ედო, თითქოს ავადმყოფური ურწმუნოება სიყმანვილის ბუნებრივ თანამდევად, ერთგვარ აუცილებელ სახადად მიაჩნდა. საერთოდაც, მასწავლებლებიც და მშობლებიც ერთთავად იმის შეხსენებით გვიბურღავდნენ ტვინს, თავის დროზე ჩვენც ვიყავით მაგ ხნისო და ამით თითქოს შემწყნარებლური საუბრის უფლებას იძევებდნენ. გვიჩიჩინებდნენ, ეგ სულ ასაკის ამბავია, დრო მოვა და ჭკუაში ჩავარდებით, თვითონვე გაგეცინებათ მერე, ცხოვრება სინამდვილის დასანახ თვალს აგიხელთ და ჭკუასაც გასწავლითო. არადა, მაშინ სულაც არ გვსურდა იმის დაჯერება, როდისმე მართლა თუ გვგავდნენ და არც იმაში გვეპარებოდა ეჭვი, რომ ცხოვრება – სხვათა შორის, სიმართლეც, ზნეობაც, ხელოვნებაც – უფრო სრულად გვესმოდა, კომპრომისებში ჩაფლულ ამ ჩვენს უფროს თაობაზე ბევრად ნათლად და მკაფიოდ.

„ფინ, რაღაც ჩუმად ხართ. არადა, მთელი ეს ალიაქოთი თქვენი ატეხილია. ამ კლასში თქვენ გვყავხართ სერბი ტერორისტი, – ჰანტი წამით შეყოვნდა, ალუზია სათანადოდ შემიფასონო. – ეგებ ჰატივი დაგვდოთ და თქვენს აზრთა მდინარებას გვაზიაროთ“.

„არ ვიცი, სერ“.

„რა არ იცით?“

„რა და, ჯერ ერთი, არ შეიძლება ვიცოდე, რა არ ვიცი: ფილოსოფიური გადმოსახედიდან, ეს თავისთავად ცხადია“. ახლაც ისე გაჩუმდა, როგორც იცოდა ხოლმე, ახლაც საგონებელში ჩაგვაგდო, თავისებურად დახვენილად მამუნობს თუ მართლა ჩვენ-

ზე ბევრად ჭკვიანია და ვერაფერს ვუგებთო. „პასუხისმგებლობის ვინმესტვის აკიდების მთელი ეს მცდელობა განა თავის დაძვრენას არ ჰგავს?! ჩვენ გვინდა, ვიღაც ერთი კაცი დავადანაშაულოთ, რა-თა ყველა სხვამ ბრალი ჩამოირცხოს. ანდა ისტორიულ პროცესს ვაბრალებთ ყველაფერს, ცალკეული პიროვნებების გასამართლებლად. ზოგს მომხდარის თავი და თავი ანარქიული ქაოსი გვგონია, აქედან გამომდინარე ისევ იმავე შედეგებით. მე კი ვფიქრობ, არ-სებობდა – არსებობს – პიროვნული პასუხისმგებლობების მთელი ჯაჭვი, თავისთავად აუცილებელი, მაგრამ არც იმდენად გრძელი, ყველამ მარტივად დაადანაშაულოს ყველა სხვა. თუმცა ვაღიარებ, პასუხისმგებლობის ასეთი გადანაწილების ჩემი სურვილი შეიძლება უფრო ჩემივე აზროვნების წესის ანარქილი იყოს, ვიდრე მომხდარის მიუკერძოებელი ანალიზი. სწორედ ესაა ისტორიის უმთავრესი თავსატეხი, არ მეთანამებით, სერ? ანუ სუბიექტური თუ ობიექტური ხედვის საკითხი: ის ამბავი, რომ ჩვენ ჯერ თავად ისტორიკოსის ისტორია უნდა ვიცოდეთ, თუ გვინდა, მის მიერ შემოთავაზებული ვერსიის ავკარგიანობაში გავერკვეთ“.

სიჩუმემ დაისადგურა. არა, სულაც არ მასხრობდა, ოდნავადაც კი. ბებერმა ჯო პანტმა საათს დახედა და გაიღია: „ფინ, ხუთ წე-ლიწადში პენსიაზე გავდივარ. ბედნიერი ვიქნები, გიშუამდგომლო, თუკი ჩემი ადგილის დაკავებას დათანხმდები“. სხვათა შორის, არც ის მასხრობდა.

ერთ დილით, საერთო შეერებაზე, დირექტორმა სამგლოვია-რო ხმით, რომლითაც ძირითადად ვინმეს გარიცხვას ან სპორტულ შეჯიბრში ჩვენი სკოლის გუნდის მარცხს გვამცნობდა ხოლმე, გა-მოგვიცხადა, საშინელი ახალი ამბავი უნდა გაუწყოთ, კერძოდ, ამ უქმეებზე საბუნებისმეტყველო განხრის უფროსკლასელი რობსო-ნის უეცარი გარდაცვალებაო. გაოგნების საყოველთაო ჩურჩულში ისიც დაამატა, ჯერ სრულიად ყმაწვილი რობსონი ყვავილივით უდ-როოდ დაჭკუნა, მისი აღსასრული მთელი სკოლისთვის აუნაზღაუ-

რეპელი დანაკლისია და მის დაკრძალვასაც, სიმბოლურად, ყველანი დავესწრებითო. მოკლედ, ყველაფერზე ილაპარაკა იმის გარდა, რისი გაგებაც მართლა გვინდოდა: რა მოხდა და რატომ, ხოლო თუ მკვლელობას ეხებოდა საქმე, ვის ჩაედინა და როგორ.

„ეროსი და თანატოსი, – აზრი გამოთქვა ედრიენმა პირველი გაკვეთილის დაწყებამდე, – და გამარჯვებულიც ისევ თანატოსი გამოვიდა“.

„რობსონი მაგ ეროს-თანატოსობანასთვის მაინცდამაინც ვერ გამოდგებოდა“, – უთხრა ალექსმა. მე და კოლინმაც თანხმობის ნიშნად დავიქინიეთ თავები. ეს მშვენივრად მოგვეხსენებოდა, რადგან ერთი თუ ორი წელი რობსონი ჩვენს კლასში სწავლობდა – მშვიდი, წყნარი, უფანტაზიო ბიჭი, ვისაც სრულებით არ აინტერესებდა ხელოვნება და ისე უხმოდ და შეუმჩნევლად მიჰყვებოდა დინებას, თვალში ზედმეტად არავის ხვდებოდა. ახლადა გვანყენინა მხოლოდ, შეურაცხყოფაც კი მოგვაყენა იმით, ნაადრევი სიკვდილით სამუდამო სახელის დაგდება რომ მოახერხა. კი, აბა, ყვავილივით უდროოდ მოწყვეტილი! ჩვენი ნაცნობი რობსონი უფრო რამე ბოსტნეულს თუ მოგაგონებდა კაცს.

არც ავადმყოფობა უხსენებიათ, არც ველოსიპედით რამეზე შესკდომა თუ გაზის აფეთქება. მხოლოდ რამდენიმე დღის მერე გავიგეთ ჭორად (ბრაუნისგან, მათემატიკის განხრის უფროსკლასელისგან) ის, რაც სკოლის ხელმძღვანელობამ ან არ იცოდა, ანდა შეგნებულად გვიმალავდა. რობსონს თავისი მეგობარი გოგო დაეორსულებინა, სხვენში თავი ჩამოეხრჩო და მხოლოდ ორი დღის მერედა ეპოვათ იქ.

„ვერ ნარმოვიდგენდი, თავის ჩამოხრჩობას თუ მოახერხებდა“.

„ეგ ხო ბუნებისმეტყველებას სწავლობდა...“

„ჰო, მარა მაგას სხვანაირი კვანძის გამოსკვნა სჭირდება“.

„ეგ ფილმებში... და სასჯელის აღსრულებისას. ისე, ჩვეულებრივითაც გამოდის მშვენივრად. უბრალოდ, ცოტა უფრო დიდხანს წვალობ“.

„ნეტა ის გოგო ვინაა?“

ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილეთ: უკარება ქალწული (ან უკვე ყოფილი), მაღაზის ახტაჯანა გამყიდველი, გამოცდილი, ასაკოვანი ქალი, რამე ვენერიულაკიდებული მეძავი... იქამდე ვკამათობდით, სანამ ედრიენმა ახალი კალაპოტი არ უპოვა ჩვენს წარმოსახვას.

„კამიუ ამბობს, თვითმკვლელობა ერთადერთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური საკითხიან“.

„ეთიკის, პოლიტიკის, ესთეტიკის, სინამდვილის რაობის და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცების გარდა?“ – საპასუხო გამოხდომაში ალექსმა სარკაზმის მთელი მარაგი ჩაატია.

„ერთადერთი ჭეშმარიტი-მეთქი! ძირეული, რაზეც ყველა სხვაა დამოკიდებული“.

რობსონის თვითმკვლელობის ხანგრძლივი განჩხრეკის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ მისი ეს ნაბიჯი ფილოსოფიურად მხოლოდ ამ ცნების არითმეტიკული გაგებით შეიძლებოდა ჩათვლილყო: მან, ვინც კაცობრიობის ერთი ადამიანით გაზრდას შეუწყო უნებურად ხელი, საკუთარ ეთიკურ ვალად მიიჩნია, პლანეტის მოსახლეთა რაოდენობა უცვლელად დაეტოვებინა. ყველა სხვა თვალსაზრისით კი, თანაც ხუმრობის გარეშე, რობსონს უბრალოდ მოღალატედ ვთვლიდით. მისი ქმედება არაფილოსოფიური, ეგოისტური და არაარტისტული იყო, სხვა სიტყვებით – მცდარი. რაც შეეხება სიკვდილის წინ დაწერილ ბარათს (წყარო – კვლავ ბრაუნი) – „მაპატიე, დედა“ – ჩვენი აზრით, მხოლოდ განათლების სისტემის ნაკლოვანებათა სარკედ თუ გამოდგებოდა.

ალბათ ასეთი მკაცრები არც ვიქნებოდით რობსონის მიმართ, რომ არა ერთი მთავარი, შეურყეველი მოცემულობა: ის ჩვენი თანატოლი იყო, ჩვენი აზრით, არაფრით გამორჩეული და ამის მიუხედავად, მაინც მოახერხა, შეყვარებულიც გაეჩინა და თან, ეჭვი არაა, საწოლამდეც მიეყვანა საქმე. დამპალი ნაბიჭვარი! რატომ იმან და არა ჩვენ? ჩვენთვის რა გახდა თუნდაც ერთი გოგოს